სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

43126797528412

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N120245240

რეგისტრაციის თარიღი

15.03.2012 წ

ნოტარიუსი: ნინო უბერი
მისამართი: ქ. თბილისი, გ. გაბაშვილის ქ. #4
ტელეფონი: (995 32) 231 23 11

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

მინდობილობა

ორიათას თორმეტი წლის თხუთმეტ მარტს, მე, ნინო უბერს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გაბაშვილის ქ. №4, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა: ქალბატონმა **მანანა რაზმაძემ.**

მან განაცხადა, რომ სურს, უფლებამოსილება მიანიჭოს: **ომარ ჯანჯღავას.**

მანანა რაზმაძემ მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი მიღება (დამოწმება სანოტარო წესით) ჩემს მიერ.

მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად აღნიშნულმა პიროვნებამ მომმართა.

მე შევამოწმე **მანანა რაზმაძის** ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

მიმნდობის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დადგენისთანავე შედგა შემდეგი აქტი:

ორიათას თორმეტი წლის თხუთმეტ მარტს, მანანა რაზმაძემ (დაბადებული 21.05.1970წ. თბილისში. პირადი №01026006867. რეგისტრირებული მისამართი: ქ. თბილისი, ბერბუკის ქ. №8. პირადობის მოწმობა №ა 1411306, გაცემული: 10.01.2011წ. სრს საბურთალოს სამსახურის მიერ), რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც, „მიმნდობი", **ომარ ჯანჯღავას** (დაბადებული 02.04.1978წ. თბილისში. პირადი №01017001635. რეგისტრირებული მისამართი: ქ. თბილისი, იაკ. ნიკოლაძის №7), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მინდობილი" მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

მუხლი 1. უფლებამოსილების შინაარსი:

„მინდობილი" *(შპს „P.E.K"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404902584) წარმომადგენელი)* **უფლებამოსილია:**

1. **წარმოადგინოს მიმნდობი შესაბამის სამსახურებში უძრავ ქონება/ქონებებთან მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ღვინის აღმართისა და დუტუ მებრელის ძუჩების ბადაკვეთაზე** *(ეფროკის მოედანი)* **დაკავშირებით.**
2. **წარმოადგინოს მიმნდობი ყველა სახელმწიფო ორგანოში, სამინისტროებში,** ადმინისტრაციულ, კომერციულ დაწესებულებებში, სანოტარო ბიუროში, ნოტარიუსთა პალატაში, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, აღსრულების ეროვნულ ბიუროში, კერძო სააღსრულებო ბიუროში, აუქციონზე, არქივში, ქ. თბილისის მერიაში და მის დაქვემდებარებულ სამსახურებში *(ასვვე, არქიტექტურის საქალაქო სამსახურში)* და კომისიასთან ურთიერთობისას, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობასთან, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებთან, ინვესტორებთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციაში, საბანკო დაწესებულებებში, სამშენებლო კომპანიებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, კერძო არბიტრაჟში, სასამართლო ორგანოებში და სხვა.
3. **წარმოადგინოს მიმნდობი არქიტექტურის სამსახურის მიერ დადგენილი ქალაქთმშენებლობით** პირობებში **(№1114 13.11.08წ.)** ცელილების შეტანასთან დაკავშირებით ნებისმიერი ადმინისტრაციული წარმოების დროს. დადოს/გააფორმოს ნებისმიერი სახის გარიგება/ხელშეკრულება, რომლითაც მესამე პირს გადასცემს ყველა იმ უფლებას, რომელიც მიმნდობს გააჩნია **(№1114 13.11.08წ.)** ადმინისტრაციული აქტით, კერძოდ, არქიტექტურის სამსახურის მიერ დადგენილი ქალაქთმშენებლობითი პირობებით.
4. მინდობილი იცავს მიმნდობის ქონებრივ და/ან არაქონებრივ ინტერესებს და საჭიროების შემთხვევაში აწარმოებს შესაბამის საქმეს ყველა ინსტანციის სასამართლოში, კერძო არბიტრაჟში, სააღსრულებო ბიუროში. აღნიშნული მინდობილობის განსახორციელებლად მინდობილი უფლებამოსილია მიმნდობის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, აწარმოოს სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები, იყოს წარმომადგენელი და აწარმოოს საქმე სასამართლოში, არბიტრაჟში, მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში და მიიღოს დოკუმენტები, მიაქციოს არბიტრაჟის გადაწყვეტილება აღსასრულებლად. მინდობილს აქვს ყველა ის უფლებამოსილება, რომელიც მხარეს (ან მესამე პირს) მინიჭებული აქვს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, კერძოდ, მინდობილი უფლებამოსილია:

ა. მიმნდობის სახელით შეიტანოს განცხადება და/ან სარჩელი (შეგებებული სარჩელი, კერძო საჩივარი) სასამართლოში, გავცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს შეპასუხება და მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და

გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ, ან მთლიანად სცნოს სარჩელი, დაამთავროს საქმე მორიგებით. გაასაჩივროს სასამართლოს ყველა აქტი (გადაწყვეტილება, განჩინება); შეიტანოს საჩივარი სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, აწარმოოს საქმე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასასამართლოში;

ბ. შეცვალოს სარჩელის (შეგებებული სარჩელის) საფუძველი და/ან საგანი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა; ისარგებლოს მხარისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მინიჭებული ყველა სხვა უფლებით. კანონმდებლობით დადგენილი წესით შეასრულოს ყველა მოქმედება სასამართლოს გადაწყვეტილების და/ან გადახდის ბრძანების აღსრულებისათვის. იყოს მიმნდობის წარმომადგენელი სააღსრულებლო საქმის წარმოებისას, სააღსრულებო ფურცლის მიღებისა და წარდგენის უფლებით.

5. აღნიშნული დაყალებების განხორციელების მიზნით მინდობილი უფლებამოსილია გადაიხადოს დაწესებული გადასახადები, ჩააბაროს/შეკრიბოს (მოიპოვოს, გამოითხოვოს, დაამზადოს, შეადგინოს და სხვ.) ნებისმიერი სახის ინფორმაცია და/ან დოკუმენტი და ხელი მოაწეროს მათ.

მუხლი 2. უფლებამოსილების განხორციელება
მინდობილობა გაცემულია შემდგომი გადანდობის უფლებით.

მუხლი 3. უფლებამოსილების ვადა
წინამდებარე აქტი მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

აქტის ეგზემპლარები
წინამდებარე აქტი შედგენილია ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შეინახება ნოტარიუსის ნინო უბერის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მიმნდობს.

სანოტარო მომსახურების ხარჯები:
გადახდილია სანოტარო საზღაური 10 (ათი) ლარი და ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2 (ორი) ლარი - ჯამში 12 (თორმეტი) ლარი, თანახმად, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებისა „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ", 31-ე და 39-ე მუხლები.

მე, ნოტარიუსმა, მიმნდობს წავუკითხე წინამდებარე აქტი და განეუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან განაცხადა, რომ იწონებს წინამდებარე აქტს და ჩემი თანდასწრებით სთხოვა მოწმე-ხელის მომწერს მის ნაცვლად წინამდებარე აქტზე ხელის მოწერა.

ყოველივე ზემოთქმულს ვამოწმებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

მიმნდობი:

სახელი, ბვარი _____ მანანა რაზმაძე

ნოტარიუსი ნინო უბერი

